პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდეგში - პროგრამის) დანერგვის წესი (შემდეგში - წესი), სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ (შემდეგში - კოლეჯი) კომპეტენციის ფარგლებში, განსაზღვრავს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირებას, შემუშავებას, განხორციელების შეფასებასთან, პროგრამის ცვლილებასა და გაუქმებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

2. პროგრამის დანერგვის წესი რეგულირდება ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 0 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანების, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების, „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანების, ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 23 აგვისტოს №80/ნ ბრძანების, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით, სხვა საკანონმდებლო ნორმებისა და ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 2. მიზანი და ამოცანები

1. პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, ამ წესის მიზანია:

ა) სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი ფორმების (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და სხვა) და ინოვაციური მიდგომების გათვალისწინებით, პროგრამის დანერგვა.

ბ) პროფესიული განათლების შრომის ბაზარზე არსებულ და სამომავლო მოთხოვნებთან მორგება და პირის დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის მომზადება.

გ) შრომის ბაზარზე პირის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გაცხადებული მიზნების მისაღწევად, ამ წესის ამოცანებია:

ა) პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებისას ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების უზრუნველყოფა.

ბ) პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებისას სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა.

გ) პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებისას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვა.

მუხლი 3. პროგრამის დანერგვის ეტაპები

1. პროგრამის დანერგვა ეფუძნება დემინგის (PDCA) ციკლს.

2. პროგრამის დანერგვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) პროგრამის ინიცირება

ბ) პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობისა და კოლეჯის შესაძლებლობების შეფასება

გ) სამუშაო ჯგუფის შექმნა

დ) პროგრამის შემუშავება

ე) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან პროგრამის პროექტის შესაბამისობის შემოწმება

ვ) პროგრამის დამტკიცება

ზ) პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება

თ) პროგრამის განხორციელების შეფასება

ი) პროგრამის განვითარება, ცვლილებების განხორციელება

კ) დასაბუთების ან შესაბამისი გარემოების არსებობის შემთხვევაში, პროგრამის გაუქმება.

მუხლი 4. პროგრამის ინიცირება

1. პროგრამის დანერგვის ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, დუალური პროგრამების კოორდინატორი, პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორი.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირებისა, პროგრამის ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯის პარტნიორი სასწავლო/თანაგანმახორციელებელი საწარმო, დარგობრივი ასოციაცია, კოლეჯის პროგრამის კურსდამთავრებულთა მინიმუმ 10 კაციანი ჯგუფი.

3. პროგრამის ინიციატორი წერილობით მიმართავს კოლეჯის დირექტორს, პროგრამის დანერგვის შესახებ ინიციატივით და წარუდგენს ინიცირებული პროგრამის დანერგვის საჭიროებისა და მიზანშეწონილობის მოკლე მიმოხილვას.

მუხლი 5. კრების ორგანიზება

1. პროგრამის დანერგვის მიზანშეწონილობისა და პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით კოლეჯის შესაძლებლობების შეფასების მიზნით, პროგრამის ინიცირებიდან 2 კვირის ვადაში, კოლეჯის დირექტორი მოიწვევს კრებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ კრებაში მონაწილეობს: ინიციატორი, კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, (შესაბამის მისამართზე პროგრამის დანერგვის საკითხის განხილვისას), ფინანსური მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მენეჯერი, დუალური პროგრამების კოორდინატორი (დუალური პროგრამის დანერგვის საკითხის განხილვისას) და სხვა (საჭიროების შესაბამისად).

3. კრებაში მონაწილე პირებს ეგზავნება დღის წესრიგი და პროგრამის ინიცირების შესახებ კორესპონდენცია, არანაკლებ, 5 დღით ადრე, კრების გამართვამდე.

4. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მოწვეულ პირთა უმრავლესობა და ამასთან კრებაში მონაწილეობს კოლეჯის დირექტორი და დირექტორის მოადგილე.

5. კრების მოწვევა არ არის სავალდებულო თუკი ახალი პროგრამის დანერგვა უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილებას.

მუხლი 6. პროგრამის დანერგვის მიზანშეწონილობისა და კოლეჯის შესაძლებლობების შეფასება

1. პროგრამის დანერგვის მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობისას, ასევე, პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით, კოლეჯის შესაძლებლობების შეფასებისას, მხედველობაში მიიღება:

ა) პროგრამის თავსებადობა კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, ასევე, პროფესიული განათლების სფეროში, სახელმწიფოს რეგიონულ და ეროვნულ პრიორიტეტებთან.

ბ) შრომის ბაზრის/დამსაქმებელთა მოთხოვნები.

გ) პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსი.

2. პროგრამის დანერგვის მიზანშეწონილობასა და პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით, კოლეჯის შესაძლებლობების შეფასებისას კრება ხელმძღვანელობს ამ წესის N1 დანართით გათვალისწინებული მეთოდოლოგიით.

3. პროგრამის დანერგვის მიზანშეწონილობასა და პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით, კოლეჯის შესაძლებლობების შეფასების შემდეგ, კრება იღებს საოქმო გადაწყვეტილებას:

ა) პროგრამის დანერგვის ინიცირების შესახებ წინადადების მიღების შექმნის შესახებ;

ბ) პროგრამის ინიცირების შესახებ წინადადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

4. ამ მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას თან ერთვის კრების მიერ შემუშავებული პროგრამის დანერგვისა და პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით კოლეჯის შესაძლებლობების შეფასების დოკუმენტი (ამ წესის N1 დანართი).

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით მიღებული გადაწყვეტილება მიიღება პროგრამის დანერგვის ინიცირებიდან 30 დღის ვადაში.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიეწოდება პროგრამის დანერგვის ინიციატორს, არაუგვიანეს საოქმო გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღისა.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით მიმდინარე წარმოება წყდება.

მუხლი 7. სამუშაო ჯგუფის შექმნა და სხვა საორგანიზაციო საკითები

1. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროგრამის პროექტის შემუშავების მიზნით, კოლეჯის დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის სავალდებულო წევრებია: პროგრამის განმახორციელებლებად მოაზრებული პირები, პროგრამის ხელმძღვანელად მოაზრებული პირ(ებ)ი.

2. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ იგეგმება პროგრამის დანერგვა დუალური ან კოოპერაციული სწავლების ფორმით, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეირჩევა პროგრამის თანაგანმახორციელებელი/სასწავლო საწარმო და ფორმდება ხელშეკრულება.

3. დუალური ან კოოპერაციული სწავლების ფორმით პროგრამის დანერგვისას, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედის პროგრამის თანაგანმახორციელებელი/სასწავლო საწარმოს წარმომადგენელი.

4. დუალური პროგრამის პროექტის შემუშავებისას, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში სავალდებულოდ უნდა იყოს დუალური პროგრამების კოორდინატორი.

5. კოოპერაციული პროგრამის პროექტის შემუშავებისას, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში სავალდებულოდ უნდა იყოს სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი.

6. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შემუშავებისას, რომელშიც ინტეგრირდება ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედის ინტეგრირებული ზოგადი მოდულის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

7. სამუშაო ჯგუფის წევრებს გადაეცემა კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილება, სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით და ეცნობება პროგრამის პროექტის შემუშავების ვადა. ასევე, მიეწოდება პროგრამის დანერგვის შესახებ ინიციატივა და კრების მიერ მიღებული საოქმო გადაწყვეტილება.

მუხლი 8. პროგრამის პროექტის შემუშავება

1. პროგრამის პროექტის შემუშავების მიზნების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფი მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს კოლეჯის დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან.

2. საკონსულტაციო შეხვედრების გამართვას ადასტურებს ხელმოწერის ფურცლები, რომელზეც მითითებულია შეხვედრაში მონაწილე პირები, მათი პოზიციები, ხელმოწერა, შეხვედრის თარიღი და საკონსულტაციო თემა.

3. სამუშაო ჯგუფი, კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ერთობლივად შეიმუშავებს და კოლეჯის დირექტორის მოადგილეს წარუდგენს პროგრამის პროექტს.

4. პროგრამის პროექტი შემუშავდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. პროგრამის პროექტი შედგება სამი ნაწილისაგან: ძირითადი ნაწილი (ჩარჩო დოკუმენტი), მოდულები და პროგრამის განხორციელების შესახებ ინფორმაცია.

მუხლი 9. პროგრამის პროექტის ძირითადი ნაწილი (პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი)

პროგრამის პროექტის ძირითადი ნაწილი (პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი) მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე)

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის საფუძველზეც შემუშავდა პროგრამის პროექტი.

გ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი.

დ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

ე) პროგრამის მიზანი

ვ) მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონე, ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით.

ზ) კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების (ECVET) რაოდენობა

თ) კლასიფიკაციის აღწერა, განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCED-F 2013), დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ISCO-08 და ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის მიხედვით

ი) დასაქმების შესაძლებლობები

კ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ლ) სწავლის შედეგები და სწავლის შედეგების დეტალურ აღწერა

მ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (კვალიფიკაციის მისანიჭებლად სავალდებულო მოდულების დასახელება და ამ მოდულების კრედიტთა რაოდენობა)

ნ) პროგრამის ხანგრძლივობა

ო) სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა (იმიტირებული, კოოპერაციული, დუალური)

პ) პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა და კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველი (სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების და კრედიტის მინიჭების წესი, შუალედური შეფასება და საკვალიფიკაციო გამოცდა

ჟ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მქონე პროფესიული სტუდენტების სწავლების საკითხი

რ) პროგრამის განხორციელების ადგილი

ს) თანაგანმახორციელებელ/სასწავლო საწარმოში მისაღწევი პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების კრედიტების მოცულობა (პროგრამის დუალური ან კოოპერაციული სწავლების ფორმით დანერგვის შემთხვევაში)

ტ) ინფორმაცია თანაგანმახორციელებელი/სასწავლო საწარმოს შესახებ (არსებობის შემთხვევაში).

უ) პროგრამის ჩარჩო მოიცავს ინფორმაციას პროგრამის დანართების თაობაზე

მუხლი 10. მოდული

1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო ზოგადი და პროფესიული მოდულების პროგრამაში გათვალისწინება სავალდებულოა.

2. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი განსაზღვრავს:

ა) არჩევითი მოდულების ბლოკის კრედიტთა მოცულობას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდული შეირჩევა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და დამოუკიდებელი მოდულის რეესტრში რეგისტრირებული პროფესიული და დამოუკიდებელი პროფესიული მოდულებისგან.

ბ) არჩევითი მოდულების ბლოკის კრედიტთა მოცულობასა და არჩევითი მოდულების ბლოკში შემავალ მოდულს/მოდულებს, არჩევითი მოდული შეირჩევა არჩევითი მოდულის ბლოკით განსაზღვრული მოდულებიდან.

3. პროგრამის არჩევითი მოდულების ბლოკის კრედიტთა ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების ჯამური მოცულობის 10%-ს.

4. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტანდარტი ითვალისწინებს არჩევითი მოდულის ბლოკს, პროგრამაში არჩევითი მოდულის ინტეგრირებასთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, რომელშიც განმარტავს, პროგრამაში შესაბამისი არჩევითი მოდულის ინტეგრირების უპირატესობას, სხვა მოდულთან შედარებით.

4[1]. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია, პროგრამის რამდენიმე ფორმით/მიდგომით განხორციელების შემთხვევაში, სხვადასხვა სასწავლო გეგმისთვის შეარჩიოს სხვადასხვა

მოდულები იმ დათქმით, რომ პროგრამის კრედიტების მოცულობა ყველა ფორმის/მიდგომის შემთხვევაში იქნება ერთი და იგივე. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

5. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს, სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში. თუ პროგრამა სავალდებულო მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა იყოს.

5[1] პროგრამის უცხოური ენის, მეორე უცხოური ენის შერჩევისას, სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია, შეარჩიოს რამდენიმე უცხოური ენა და ინფორმაცია ასახოს დამხმარე ჩანაწერებში, მათ შორის, სასწავლო რესურსსა და მოდულის განმახორციელებლებში. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

6. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება ხორციელდება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანების შესაბამისად.

7. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ,,ქართული ენა A2" მოდულის, ხოლო საშუალო და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე, ,,ქართული ენა B1” მოდულის განხორციელებას, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

მუხლი 11. მოდულის სტრუქტურა

1. მოდულის სტრუქტურა შედგება ზოგადი, სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერებისგან. ზოგადი და სტანდარტული ჩანაწერები სავალდებულოა, ხოლო დამხმარე ჩანაწერები – სარეკომენდაციო შინაარსისაა.

2. ზოგადი ჩანაწერები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მოდულის სახელწოდება.

ბ) მოდულის სარეგისტრაციო ნომერი.

გ) მოდულის მოცულობას კრედიტებში.

3. სტანდარტული ჩანაწერები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სწავლის შედეგები.

ბ) სწავლის შედეგების შესრულების კრიტერიუმები, რაც გულისხმობს ინფორმაციას იმ მინიმალური სტანდარტების შესახებ, რომელთა დაკმაყოფილებაც პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგების მისაღწევად მოეთხოვება.

გ) კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების მისაღწევად გათვალისწინებული უნარებისა და ცოდნის მასშტაბების და სიღრმის დაზუსტებას.

დ) შეფასების მიმართულება (გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით).

ე) სწავლის შედეგის მოცულობას კრედიტებში.

4. მოდულის დამხმარე ჩანაწერები მოიცავს მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის, თემატიკას, სწავლების რეკომენდებულ ფორმას, შეფასების რეკომენდებულ მეთოდებს, რეკომენდებულ მტკიცებულებებს პროფესიული

სტუდენტის პორტფოლიოსთვის, ინფორმაციას რეკომენდებული სასწავლო რესურსების შესახებ და სხვა.

მუხლი 12. მოდულის დამხმარე ჩანაწერების შემუშავება

1. საათების განაწილების სქემა - სქემაში სამუშაო ჯგუფს შეუძლია ასახოს თავისი მიდგომები, თუმცა არა - დამოუკიდებელი საათების არსებითი ცვლილების ხარჯზე.

2. სწავლებისა და შეფასების მიდგომები - თუ მოდულის ფარგლებში არსებული მიდგომები სწავლებასა და შეფასებასთან დაკავშირებით არ არის გაზიარებული, სამუშაო ჯგუფს შეუძლია თვითონ ჩამოაყალიბოს საკუთარი მიდგომები. პროგრამის განსხვავებული მიდგომებით განხორციელების შემთხვევაში განსხვავებული სწავლების/შეფასების მიდგომები უნდა აისახოს შესაბამის მოდულებში;

3. შეფასების მიმართულებები და მეთოდები - გვიჩვენებს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. სამუშაო ჯგუფს შეუძლია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული მეთოდი, შეფასების მიმართულების გათვალისწინებით.

4. მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსთვის - ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. თუ მტკიცებულების შეგროვების შეთავაზებულ მიდგომებს სამუშაო ჯგუფი არ ეთანხმება, შესაძლებელია მისი შეცვლა. ამასთან, ჯგუფი უფლებამოსილია შემოთავაზებული შესაძლებლობებიდან დატოვოს რამდენიმე და პროფესიული განათლების მასწავლებლებს მისცეს სწავლებისას შეფასების მეთოდისა და მტკიცებულებების თავისუფლად შერჩევის შესაძლებლობა (გასათვალისწინებელია მოდულის სწავლება სხვადასხვა პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ).

5. სამუშაო ჯგუფს შეუძლია მოდულის თემატიკა შეცვალოს მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში.

6. სასწავლო რესურსის ჩამონათვალს სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს იმგვარად, რომ სასწავლო რესურსი იძლეოდეს მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება - კოლეჯი უფლებამოსილია დამხმარე ჩანაწერების აღნიშნულ ნაწილში დაამატოს საკუთარი მიდგომა.

მუხლი 13. პროგრამის განხორციელების პირობების შესახებ ინფორმაცია

1. პროგრამის მესამე ნაწილი (პროგრამის განხორციელების შესახებ ინფორმაცია) მოიცავს:

ა) სასწავლო გეგმა/სასწავლო გეგმებს;

ბ) ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ;

გ) ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

დ) დუალური და კოოპერაციული პროგრამების შემთხვევაში ინფორმაციას კოლეჯსა და სასწავლო/თანაგანამახორციელებელ საწარმოს შორის პროფესიული მოდულების კრედიტების განაწილების თაობაზე, სწავლის შედეგების შესაბამისად.

2. ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ სამუშაო ჯგუფს აწვდის დირექტორის მოადგილე.

3. იმ შემთხვევაში, თუ მოდულის სტანდარტული ჩანაწერები ითვალისწინებს შესაბამისი მოდულის სწავლებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პერსონალი უნდა აკმაყოფილებდეს ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

4. პროგრამის ხელმძღვანელად განისაზღვრება პირი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი, დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი. შესაძლებელია, პროგრამას ჰყავდეს ორი ხელმძღვანელი.

5. ინფორმაცია, პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ შემუშავდება ამ წესის N2 დანართის სახით.

6. სასწავლო გეგმა უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ ის იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული იყოს მოდულებზე დაშვების წინაპირობები.

7. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს.

8. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 სთ-ს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს და არ იყოს საშუალოდ 30 საათზე ნაკლები.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება:

ა) ,,ქართული ენა A2"/,,ქართული ენა B1" მოდულ(ებ)ის სასწავლო გეგმაზე.

ბ) იმ საშუალო პროგრამის სასწავლო გეგმაზე, რომელშიც ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

გ) სწავლების დუალური ფორმით განსახორციელებელი პროგრამების სასწავლო გეგმაზე.

10. როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდება მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების პრობლემა.

11. პროგრამის მესამე ნაწილი სავალდებულოდ მოიცავს სასწავლო გეგმას მოდულებისთვის: ,,ქართული ენა A2" / ,,ქართული ენა B1", პროგრამის დონის შესაბამისად.

12. პროგრამის სასწავლო გეგმა სავალდებულოდ მოიცავს ინფორმაციას შუალედური შეფასების პერიოდის თაობაზე.

13. დუალურ პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 2 წელი;

14. პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, არ უნდა იყოს 65 სასწავლო კვირაზე ნაკლები.

15. ამ მუხლი მე-13 პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროგრამაზე, სადაც ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა არის 3 წელი.

16. პროგრამაში უნდა აისახოს ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის თაობაზე. ინფორმაცია შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ცალკე დანართის სახით, მოდულებში ან კომბინირებულად.

17. სამუშაო ჯგუფმა პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტზე დაყრდნობით, იმგვარად უნდა უზრუნველყოს მატერიალური რესურსის განსაზღვრა, რომ პროგრამაში მითითებული და შესაბამისად, კოლეჯის აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

მუხლი 14. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან პროგრამის პროექტის შესაბამისობის შემოწმება

1. ავტორიზაციის სტანდარტებთან პროგრამის პროექტის შესაბამისობის შემოწმების მიზნით, პროგრამის პროექტს დირექტორის მოადგილე, მიღებიდან 5 დღის ვადაში აწვდის კოლეჯის ხარიხის მართვასა და უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს.

2. ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი პროგრამის პროექტს აფასებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტისა და წინამდებარე წესის მოთხოვნებთან მიმართებით და დასკვნას წარუდგენს დირექტორის მოადგილეს, პროგრამის პროექტის მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

3. პროგრამის პროექტზე ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ რეკომენდაციების გაცემის შემთხვევაში დირექტორის მოადგილე პროგრამას გადასამუშავებლად უბრუნებს სამუშაო ჯგუფს და განუსაზღრავს გონივრულ ვადას.

4. პროგრამის პროექტის დადებითად შეფასების შემთხვევაში დირექტორის მოადგილე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს.

მუხლი 15. პროგრამის დამტკიცება და პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება

1. პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

2. პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით კოლეჯი ატარებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

მუხლი 16. პროგრამის განხორციელების შეფასება

1. პროგრამის განხორციელების შეფასება გულისხმობს პროგრამის შეფასებასა და შეფასების ანალიზს.

2. პროგრამის შეფასების/ანალიზის დროს დგინდება პროგრამის შესაბამისობა შემდეგ კრიტერიუმებთან:

ა) სასწავლო რესურსის შესაბამისობა მოდულების სწავლის შედეგებთან - სასწავლო რესურსი უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში მატერიალური ან/და ელექტრონული სახით;

ბ) მატერიალური რესურსის შესაბამისობა მოდულების სწავლის შედეგებთან - მატერიალური რესურსი უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების რელევანტური, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი;

გ) სწავლების მეთოდების რელევანტურობა სწავლის შედეგებთან მიმართებით და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა;

დ) პროგრამის მოდულების შინაარსის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან;

ე) პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა (მოწმდება რამდენი კურსდამთავრებული და პროფესიული სტუდენტი დასაქმდა პროგრამის მიმართულებით/პროფესიით)

ვ) პროფესიულ სტუდენტთა მოძრაობის სტატისტიკა (ფასდება რამდენი პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რამდენმა დაამთავრა, რა იყო მათი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის/მობილობის მიზეზი).

ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციის შესაბამისობა მათ მიერ განხორციელებული მოდულების სწავლის შედეგებთან;

თ) საჭიროების შემთხვევაში სხვა კრიტერიუმებთან (მაგალითად: წარმოებული სასწავლო დოკუმენტაციის ხარისხი - პროფესიულ სტუდენტთა სწავლების აღრიცხვის მატერიალური ჟურნალი, კალენდარული გეგმა, შედეგების შეფასების უწყისი, საგანმანათლებლო პროგრამებიდან პროფესიულ სტუდენტთა დენადობის (სტატუსის შეწყვეტა, სტატუსის შეჩერება) მდგომარეობა; პროგრამაზე აპლიკანტთა რაოდენობის ცვლა (კლება, მატება); ინფორმაციები ცალკეული მოდულების სწავლის შედეგების დადასტურების მდგომარეობის შესახებ; პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასებების ანალიზი).

3. პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ინსტრუქტორებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვას, რისთვისაც იყენებს კითხვარებს (კონკრეტული საჭიროებების მიხედვით). ასევე, შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდი და პირისპირ ინტერვიუ.

4. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ხორციელდება კოლეჯის მიერ შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რაც მოიცავს:

ა) მოდულის შეფასებას.

ბ) პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასებას.

გ) მატერიალური რესურსების შეფასებას.

დ) სასწავლო რესურსის შეფასებას.

ე) სხვა (საჭიროებისამებრ).

5. პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვა ხორციელდება კოლეჯის მიერ შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რაც მოიცავს:

ა) მოდულის შეფასებას;

ბ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებას;

გ) მატერიალური რესურსების შეფასებას;
დ) სასწავლო რესურსის შეფასებას;
ე) სხვა (საჭიროებისამებრ).

6. კოლეჯის კურსდამთავრებულების და პროგრამის თანაგანმახორციელებელი/სასწავლო საწარმოთა გამოკითხვა ხორციელდება კოლეჯის მიერ შემუშავებული კითხვარების საშუალებით.

7. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით, - ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, პერიოდულად, თითოეული მოდულის/განმახორციელებლის გათვალისწინებით ან ვერიფიკაციის წესის შესაბამისად, რისკ ფაქტორებიდან გამომდინარე, ესწრება სასწავლო პროცესს, საკონტაქტო საათის განმავლობაში.

8. პროგრამის შეფასებისას, ასევე, გამოიყენება შიდა ვერიფიკაციის შედეგები. სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოყენებულ სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია მოდულის დასრულების შემდეგ განმახორციელებლის კომენტარები /რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9. ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი აანალიზებს შეგროვებულ მონაცემებს. ანალიზის შედეგად იძლევა პროგრამის განვითარების რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გაიცეს რეკომენდაცია პროგრამის გაუქმების თაობაზე.

10. შესაბამისი რეკომენდაციები მიწოდებული უნდა იქნას იმავე მოდულის შემდეგ ეტაპზე განხორციელების დაგეგმვის წინ, რათა გათვალისწინებული იქნას წინა ეტაპის ფაქტობრივი გარემოებები. აღნიშნული წარმოადგენს კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის გამართულობის ერთ-ერთ ინდიკატორს.

11. საჭიროების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ინიცირება მოდულში ცვლილებების თაობაზე. ეს შეიძლება იყოს სწავლების მეთოდების კორექტირება, შეფასების ინსტრუმენტის შეცვლა შეფასების მიმართულების ფარგლებში, სწავლის შედეგებზე საათების გადანაწილების კორექტირება, საგანმანათლებლო რესურსების ან თემატიკის ცვლილება და სხვა.

მუხლი 17. პროგრამის განვითარება

1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, პროგრამის ადამიანური, მატერიალური რესურსის ცვლილების (რომელიც არ არღვევს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს), სასწავლო რესურსის ცვლილების ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია პროგრამის განხორციელებასა (პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინსტრუქტორი, პარტნიორის წარმომადგენელი) თუ ადმინისტრირებაში ჩართულ, ხარისხის მართვასა და

უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წერილობით წარმოდგენილი.

3. დუალური და კოოპერაციული პროგრამის შემთხვევაში პროგრამაში შინაარსობრივი ცვლილების შეტანა ხორციელდება პარტნიორებთან შეთანხმებით. მოდიფიცირებული პროგრამა ელექტრონული ფორმით მიეწოდება სასწავლო საწარმოს/პროგრამის განმახორციელებელ ინსტრუქტორს/განმახორციელებელს.

4. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, ამ პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ აღნიშნული პროგრამის შეცვლამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის განხორციელების შესახებ.

5. პროგრამის ცვლილების შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომელიც წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტის შემთხვევაში, ასევე, განსაზღვრავს შეცვლამდე არსებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების და შეცვლილი პროგრამის ამოქმედების საკითხებს.

6. პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ აცნობოს ცენტრს, ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარადგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.

7. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და ცენტრს აცნობოს აღნიშნულის შესახებ, შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.

8. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

9. პროგრამაში ცვლილების შეტანა საჭიროებს სამუშაო ჯგუფის შექმნას შემდეგ შემთხვევებში:

ა) პროფესიული საგანამანათლებლო სტანდარტის ცვლილება (გარდა ტექნიკური ცვლილებისა).

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილება.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომის დამატება.

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების ცვლილება.

ე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი მოდულის ცვლილება.

ვ) და სხვა შესაბამისი არგუმენტირების საფუძველზე.

მუხლი 18. პროგრამის გაუქმება

1. პროგრამის გაუქმება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების –შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხული ყველა პროფესიული სტუდენტი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაასრულებს სწავლას და მიენიჭებათ პროფესიული კვალიფიკაცია;

ბ) თუკი კოლეჯი ზედიზედ 3 წლის მანძილზე არ განახორციელებს ავტორიზებულ პროგრამას და განხორციელებული თვითშეფასებით დადგინდება, რომ პროგრამა აღარ არის მოთხოვნადი შრომის ბაზარზე და უახლოეს პერიოდშიც არ ჩანს მისი განხორციელების პერსპექტივა;

გ) სხვა შემთხვევა, რომელიც პროგრამის გაუქმებით არ დაარღვევს პროფესიულ სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს;

2. პროგრამის გაუქმების შესახებ დასაბუთებული ინიციატივით, კოლეჯის დირექტორს მიმართავს კოლეჯის დირექტორის მოადგილე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინიციატივის მიზანშეწონილობის განხილვის მიზნით, ინიცირებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კოლეჯის დირექტორი მოიწვევს კრებას. კრების პოზიცია აისახება ოქმში.

4. პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც დასაბუთებული უნდა იყოს.

5. პროგრამის გაუქმების შესახებ ინფორმაციას, კოლეჯის დირექტორის მოადგილე, აცნობებს ცენტრს, პროგრამის გაუქმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

დანართი №1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი

წინამდებარე ცხრილი განკუთვნილია დაწესებულებისთვის, რათა დაეხმაროს პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებაში. გასათვალისწინებელია, რომ სავალდებულო არ არის ყველა კომპონენტის შევსება და დასაბუთება. ცხრილში მოცემულია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების ალტერნატიული გზები, შესაბამისად, რეკომენდებულია, ერთი ან რამდენიმე კომპონენტის დასაბუთება იმის მიხედვით, რა ტიპის არის პროგრამა და დასაბუთების რომელ კომპონენტს ეფუძნება მისი განხორციელება დაწესებულების მიერ.

რეკომენდებულია, თითოეული კომპონენტის დასაბუთებისთვის მტკიცებულებების წარმოდგენა (შესაბამისობის ნარატიული აღწერა).

მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი			
N	მოთხოვნა	მტკიცებულება (საინფორმაციო რესურსის წყარო)	არ მიესადაგება (not applicable)
1	საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან		
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
2	დაწესებულების სამოქმედო არეალში არსებობს ან/და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
3	ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.		☐

შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
4	შრომის საერთაშორისო ბაზრის კვლევის მონაცემებზე[1] დაყრდნობით, საერთაშორისო ბაზარზე არსებობს მოთხოვნა იმ სამუშაო უნარებზე/პოზიციებზე რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამა		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
5	დამსაქმებლებისგან/პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე იკვეთება კონკრეტული კვალიფიკაციის საჭიროება .		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
6	დასაქმების პლატფორმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებობს მოთხოვნა იმ სამუშაო უნარებზე/პოზიციებზე რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამა .		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
7	დაწესებულების მიერ ჩატარებული ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით გამოიკვეთა კონკრეტული სპეციალობის მქონე კვალიფიციური კადრების საჭიროება		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
8	კურსდამთავრებულების კვლევის შედეგებმა გამოკვეთა კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებისუნარიანობა		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
9	მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ შესაბამისი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრები, დეფიციტურია		☐

[1] ისეთი პროფესიებისთვის, რომლის დასაქმების სფერო საერთაშორისო ბაზარია

	ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს დაწესებულება), რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის		
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
10	პროგრამა ხორციელდება სხვა პსდ-ების მიერ, თუმცა კოლეჯის პროგრამა იქნება გამორჩეული (რით იქნება დაწესებულების მიერ განხორციელებული პროგრამა განსხვავებული სხვა კოლეჯებისგან, რომლებიც იგივე პროგრამებს ახორციელებენ)		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
11	კონკრეტული პროგრამა არ ხორციელდება არცერთი პსდ-ს მიერ.		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
12	დაწესებულებას ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები) საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.		☐
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			
13	სხვა არგუმენტაცია, რომელიც ცხრილში არ არის დასახელებული		
შესაბამისობის ნარატიული აღწერა/ანალიზი			

დანართი №2

ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა თაობაზე

პროგრამის დასახელება .....

პროგრამის განხორციელების ფორმა ……

(რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა……
(კოოპერაციული/დუალური)

პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი	მოდული, რომელსაც ასწავლის (საჭიროების შემთხვევაში მიუთითეთ მოდულის ნაწილი)	კვალიფიკაცია/გამოცდილება, რითაც დასტურდება, რომ აღნიშნულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია	აღნიშნულის თაობაზე პირად საქმეში დაცული მტკიცებულება